# საერთაშორისო გარემო და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

*პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი*
***Professor ZURAB VADACHKORIA, The Rector of Tbilisi State Medical University***

# International Environment and Student-Centered Learning at the Tbilisi State Medical University

ნინო შარაშიძე | NINO SHARASHIDZE

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერაა საქართველოში, განვითარების თითქმის ასწლოვანი ისტორიით. განათლების მაღალი სტანდარტი და სტუდენტზე მორგებული გარემო თანაბრად იზიდავს ახალგაზრდებს, როგორც საქართველოს, ისე – მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ამჟამად, აქ, 5 000-მდე ქართველი და 2 300-ზე მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 68 ქვეყნიდან, მათ შორის ინდოეთიდან, შრი-ლანკადან, თურქეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ—დან, კანადიდან, ისრაელიდან, ავსტრალიიდან, და სხვა. ათასობით კურსდამთავრებული კი საქართველოს და მსოფლიოს წამყვან კლინიკებსა და სამედიცინო დაწესებულებებში წარმატებით განაგრძობს საქმიანობას.

უნივერსიტეტის ახალ საგანმანათლებლო პროგრამებსა და საერთაშორისო პარტნიორობაზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას ვესაუბრეთ:

**ბატონო ზურაბ, როგორ ხდება განათლების მაღალი სტანდარტის დანერგვა და რეალიზება თბილისის სახელმწიფო სამედი-**

The Tbilisi State Medical University (TSMU) is a major center for higher medical education in Georgia with almost 100 years of development history. The high standard of education and student-oriented environment maintained over the years equally attracts young people from the country, as well as from many parts of the world. Currently, there are over 5000 Georgian students and more than 2300 international students from 68 countries of the world, including India, Sri Lanka, Turkey, EU countries, the US, Canada, Israel, Australia and atc. Thousands of graduates work successfully in leading clinics and medical institutions in Georgia and around the world.

We spoke with Professor Zurab Vadachkoria, the Rector of the Tbilisi State Medical University about the university's new education programs and international partnership. Here are the insights he shared:

**Prof. Vadachkoria, How is the high standard of education implemented and maintained at the Tbilisi State Medical University?**

- ასწლოვანი ისტორიის სამედიცინო განათლება
- ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო სკოლა
- 8 000-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის, 2 300-ზე მეტი უცხოელი მსოფლიოს 68 ქვეყნიდან
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან თანამშრომლობით
- მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო მობილობის პროგრამები განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე
- 120-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან
- ინდივიდუალური მობილობის სასწავლო პროგრამები
- Erasmus+ გაცვლითი პროგრამა 27 წამყვან ევროპულ უნივერსიტეტში

- Hundred Years' Medical Education
- The most demanded medical school
- More than 8000 students, including over 2300 foreigners from 68 countries
- Joint educational programs in collaboration with leading universities and clinics
- Short and Long-Term International Mobility Programs in Diploma Course, Masters and PhD Levels
- More than 120 partner universities and university clinics from more than 40 countries around the world
- Individual mobility training programs
- Erasmus + Exchange Program at 27 leading European Universities

**ცინო უნივერსიტეტში?**

დიდი და საპატიოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებისას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მისი საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებით: ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი; დემოკრატიულობა; მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტის რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს; ჩვენს უცხო ქვეყნის მოქალაქე პარტნიორებთან ურთიერთობა, საკუთარი, მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და სამედიცინო სერვისისადმი თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, მასწავლებელზე ორიენტირებული სისტემის საპირისპიროდ. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს კურიკულუმის დაგეგმვას, ის სასწავლო პროგრამის სტუდენტისთვის შესაბამისობაზეა ფოკუსირებული, გამომდინარე, საზოგადოებაში მისი მომავალი სოციალური და პროფესიული როლიდან.

ამიტომაც, საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და, რაც მთავარია, განხორციელების ხარისხის ინდიკაციის ერთერთი მექანიზმი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასების კვლევა და შედეგების კრიტიკული ანალიზია. საამისოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, შემუშავებულია მრავალგვარი სამიზნე

The role and responsibility of the Tbilisi State Medical University is huge and respected for ensuring adequate health care for our country's population. Whilst performing this significant mission, the Tbilisi State Medical University is guided by the basic determinative principles of its activities which are: Academic degree of knowledge and researches, Democracy, Elective and transparent management bodies, and Academic freedom amongst academic staff and students.

The implementation of our high standards of medical education ensures the successful development of traditional educational programs at the Tbilisi State Medical University. Our relations with our international partners, our many years of academic experience, and the objective to honorably overcome the modern challenges of medical service are pushing us to take bolder and more innovative steps.

The Tbilisi State Medical University attaches great importance to the development of a student-oriented educational system, in contrast to the teacher-oriented system (which does not depend on time and the priority is based on the stance that the professor knows what to teach to the student). The student-oriented approach pays much more attention to planning the curriculum, focusing on the compatibility of the study program to the student according to their future social and professional role in the society.

Therefore, one of the mechanisms of evaluation of our educational programs and indices for quality implementation is the study of evaluation of students and graduates, and the critical analysis of the results. For this purpose, our Quality Assurance Service has developed a number of target questionnaires and criteria which, are used actively alongside students in the in-

კითხვარი და კრიტერიუმი, რომელთა გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში, ხარისხის სამსახურთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ეს ყოველივე განსაზღვრავს კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი განხორციელების ეფექტიანობის, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმით შესწავლის და შეფასების პროცესთა ერთიანი ჯაჭვის არსებობას.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ჰქონდა, აქვს და ექნება პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

**ბოლო წლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, არაერთი ინოვაციური პროგრამა დაინერგა. გვიამბეთ ამ პროგრამების შესახებ.**

სანამ, უშუალოდ, პროგრამებზე ვისაუბრებდე, მინდა, აღვნიშნო, რომ გასულ წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა შეფასებების და უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის და განხილვის შემდგომ, მიიღეს გადაწყვეტილება ავტორიზაციის მოთხოვნებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული შესაბამისობის და ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, მაქსიმალური შეფასებით, ასევე, დადებითად გადაწყდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხიც.

რაც შეეხება ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, ბოლო წლების განმავლობაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეემატა:

- *დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;*
- *საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია გრენობლის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan (საფრანგეთი). პროგრამის დასრულების შემდეგ ორი, ქართული და ფრანგული დიპლომი გაიცემა; ასევე, UniMan-თან თანამშრომლობით შექმნილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის*

terpretation of quality service. All these determines the correct planning of the curriculum, the effectiveness of its implementation, unbiased results, studying of the measurable criteria, and the existence of the evaluation process chain.

Each member of our university's society – academic personnel, administrators, students, graduates – had, have, and will have the opportunity to achieve professional perfection and contribute to the development of the Tbilisi State Medical University.

**In recent years, many innovative programs have been implemented in cooperation with international partners at the Tbilisi State Medical University. Tell us about these programs.**

Before I start discussing the programs, I would like to point out that at the authorization council session, after listening and reviewing the evaluation of the experts and the university's argument, we arrived at the decision to give a maximum assessment of full compliance and authorization of the Tbilisi State Medical University, in line with the authorization requirements. Also, the issue of granting vocational education programs was positively decided upon.

As for the new academic programs, in recent years, at the Tbilisi State Medical University, we added the following programs:

- *Medical Diploma – an American program which is implemented in partnership with the University of Emory (Atlanta, US).*
- *Public Health and Management Bachelor Program – implemented in partnership with the Academy of Management and Performance, UniMan (France). Upon graduation, the diploma will be issued in Georgian and in French. Also, in cooperation with UniMan, a Master's Program on Public Health Management and Health Policy was created.*
- *Tyrol clinics educational center of the Western Union – AZW and Tbilisi State University joint educational program for nurses. The program allows Georgian nurses to master the profession according to European standards, get internships, and gain*

*მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები Upcoming Infrastructure Projects*

*პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა;*

*• ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის AZW და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს, ევროპული სტანდარტის შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში;*

*• 2018 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ახალი, მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რაც კიდევ უფრო კომფორტულ გარემოს უქმნის ჩვენს უნივერსიტეტში განათლების მისაღებად ჩამოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს.*

ამრიგად, დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა სამედიცინო უნივერსიტეტს მიმზიდველს ხდის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

**როგორია თსსუ-ის როლი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში?**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტის ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

ამჟამად, თსსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, MEVLANA, HORISON 2020). ყოველწლიურად, უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან საერთაშორისო მობილობის პროგრამებში.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას გლობალური მასშტაბით. სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს განვითარების ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ინგლისურ ენაზე განათლებას იღებენ: 1996 წლიდან – მედიცინის ფაკულტეტზე; 2008 წლიდან – ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე; 2013 წლიდან – ფარმაციის ფაკულტეტზე; 2017 წლიდან – სტომატოლოგიის ფაკულტეტზე. 2012 წლიდან, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე, უცხოეთის მოქალაქეებისთვის, დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამებიც ამოქმედდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულუფლებიანი წევრია შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების და ასოციაციებისა:

*• ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია EUA;*

*• უნივერსიტეტთა დიდი ქარტია Magna Charta Universitatum;*

*international experience in Austrian clinics.*

*• In 2018, the Tbilisi State Medical University established a new International Medical Faculty to create an even more comfortable environment for international students to get education in our university.*

Therefore, the successful courses under the undergraduate, postgraduate and continuous professional education, masters and PhD programs, make the Tbilisi State Medical University attractive not only for Georgian students but also for youths around the world.

**What is the role of TSMU in the international education Area?**

Tbilisi State Medical University is a full-fledged member of the European Education Area, which means it plays an active role in the functioning of this educational system, determining the development directions and realizing them, establishing free and close scientific and study contacts with foreign education, and scientific and clinical centers.

Currently, TSMU is partner with more than 120 universities and university clinics in more than 40 countries. Our cooperation with them is regulated by bilateral agreements and / or joint international projects (ERASMUS+, MEVLANA, HORISON 2020). Annually, more than 300 students, resident, academic and administration staff, participate in the short and long-term international mobility programs at undergraduate, master and PhD levels.

The Department of International Relations is one of the most significant structural units of the Tbilisi State Medical University and its main goal is to support the internationalization process of the university, and this further implies the development of international relations on a global scale. English language educational programs at the Tbilisi State Medical University have more than 20 years of development history.

Foreign citizens get education in English since 1996 – at the faculty of medicine. The same has been in effect since 2008 – at the faculty of physical medicine and rehabilitation; since 2013 – at the faculty of pharmacy; since 2017 – at the faculty of dentistry. Since 2012, Russian language programs – doctor of medicine and doctor of dental medicine - have been enacted for foreign citizens at the medicine and dentistry faculty.

The Tbilisi State Medical University (TSMU) is a full member of the following international organizations and associations:

*• European University Association - EUA*

*• Magna Charta Universitatum*

*• The Association for Medical Education in Europe AMEE*

*• The International Association of University Presidents - IAUP*

*• The European Medical Students' Association EMSA*

*• International Federation of Medical Students' Associations IFMSA*

*• Eurasian Silk Road Universities Consortium - ESRUC*

*• სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია AMEE;*

*• უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია IAUP;*

*• ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია EMSA;*

*• მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია IFMSA;*

*• ევრაზიული აბრეშუმის გზის უნივერსიტეტების კონსორციუმი ESRUC;*

*• უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტების და ფიზიკური განათლებისა და სპორტის ინსტიტუტების საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინოვაციურ-ტექნოლოგიური კონსორციუმი;*

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან:*

*• ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია WHO;*

*• სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია WFME;*

*• უცხოელ სამედიცინო კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისია ECFMG;*

*• ოქსფორდის აკადემიური კავშირი ACADEMIC UNION OXFORD;*

*• გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური DAAD;*

*• ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID;*

*• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი – UNFPA;*

*• ქირურგთა, გასტროენტეროლოგთა და ონკოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია – IASGO;*

*• ამერიკულავსტრიული ფონდი/ღია სამედიცინო ინსტიტუტი – AAF/OMI;*

*• დაავადებათა კონტროლის ცენტრები (CDC);*

*• ჯანდაცვის სკოლების ასოციაცია ევროპის რეგიონში (ASPHER);*

*• კიბოს საერთაშორისო კონტროლის კავშირი (UICC).*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ს და IMED—ის საერთაშორისო საძიებელ სისტემებში. თსსუ-ის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვა) ეძლევათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან, სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში, 2012 2018 წლებში, სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორების 500-მდე ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში პროფესორებმა წაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში, გამართეს კონსულტაციები და ჩაატარეს საქველმოქმედო ოპერაციები თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

საინტერესო და დინამიკური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესურა, ეფექტიანი მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი პირობებია. ■

*• International Scientific Innovative Technological Consortium of Higher Medical Institutes and Physical Education and Sport Institutes*

*Tbilisi State Medical University closely cooperates with the following organizations:*

*• World Health Organization WHO*

*• World Federation for Medical Education WFME*

*• Educational Commission for Foreign Medical Graduates ECFMG*

*• Academic Union Oxford*

*• German Academic Exchange Service DAAD*

*• The United States Agency for International Development USAID*

*• The United Nations Population Fund - UNFPA*

*• The International Association of Surgeons, Gastroenterologists and Oncologists - IASGO*

*• The American Austrian Foundation/ Open Medical Institute - AAF/OMI*

*• Centers for Disease Control (CDC)*

*• The Association of Schools of Public Health in the European Region (ASPHER)*

The Tbilisi State Medical University is included in WHO and IMED international search engines. TSMU graduates are able to work in any country after acquiring the relevant license test / screening tests (USMLE, PLAB, YOK, And etc.).

Since 2012, the Tbilisi State Medical University has successfully implemented program that have prompted the invitation of leading professors from universities in the USA, European Union countries, Great Britain, Turkey, and Israel. Within the framework of this program, from 2012 – 2018, up to 500 visits have been made by foreign professors to the Tbilisi State Medical University. Within the visit, the professors delivered thematic lectures in different fields of basic and clinical medicine, made consultations, and charitable operations in TSMU university clinics.

The Tbilisi State Medical University has interesting and dynamic educational programs, qualified professors, an effective management, a high standard of education and internalization of activity, and a modern educational-research infrastructure. These are the determining factors of our growth and success on the international level. ■